



საქართველოს ს.ს.რ.

საბჭ. რესპუბლიკის

გუზათა და გლახთა მთავროგის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გაფორმება

1930 წ. ნოემბერი 30.

№ 19

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

280. ხე-ტყის დამზადებისა და ხე-ტყის ჩამოტივტივებისათვის შრომისა და კაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მაისის 21-ის დადგენილების მე-2 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

281. შინა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შესახებ.

282. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

283. სარეწაო კოოპერაციის დებულებისათვის 45¹ მუხლის დამატების შესახებ.

284. სარეწაო კოოპერაციის დებულების 90 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

285. იმ ინსტრუქციის ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ, რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 23 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ იქნა—სსრკ-ის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის შეღავათების შესაფარდებლად შრომითი მიწათსარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში.

286. ბინებში იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

287. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონის გაუქმების თაობაზე გამოცემული 1930 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

288. ქუთაისის და ჭრებალოს რაიონების გაუქმების შესახებ.

289. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ.

290. ფიზკულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების შესახებ.

291. საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლონიის 1-ლი №-ის საბჭოთა მეურნეობისათვის ს. ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

292. სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავისუფალი რეალიზაციის თაობაზე გამოცემულ მთავრობის დადგენილებათა დარღვევის შემთხვევების მოსპობის შესახებ.
293. სასაქონლო ბაზრის მოწესრიგების შესახებ.

სენატრული აღმასრულებელი კომისიის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

280. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ხე-ტყის დამზადებისა და ხე-ტყის ჩამოტივტივებისათვის შრომისა და ჰაპან-ზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მაისის 21-ის დადგენილების მე-2 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ხე-ტყის დამზადებისა და ხე-ტყის ჩამოტივტივებისათვის შრომისა და ჰაპანზიდვის სასყიდლიანი ბეგარის დაწესების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 21-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 12 №-ი, მუხ. 177) მე-2 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა**, ის პირი, რომელიც ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობას, ბეგარაზე გაიწვევა შრომისა და ჰაპანზიდვის საშუალებისათვის შემცირებული სასყიდლის მიცემით, რა სასყიდელიც დადგენილ იქნება იმავე წესისამებრ ადგილობრივი პირობების მიხედვით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. სექტემბრის 19.
ტფილისი—სასახლე.

281. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

შინა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შესახებ.

რადგანაც საჭიროა სპეციალურად იქნეს მოწესრიგებული იმ პირთა შრომის განსაკუთრებული პირობები, ვინც დაქირავებით მუშაობს დამქირავებლის სახლში და ემსახურება ამ უკანასკნელს პირადად და მის ოჯახს (შინა-მოსამსახურე), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შინა-მოსამსახურის სამუშაოზე მიღება, როგორც დამქირავებლის სახლში მცხოვრებისა, ისე გარედან მოსიარულისა, დამქირავებელს შეუძლიან შრომის ბირჟის მეშვეობით ან პირდაპირ დაქირავებულთან შეთანხმებით.

2. შინა-მოსამსახურის საბოლოოდ მიღებას შეიძლება წინ უძღოდეს მისი გამოსაცდელად ორი კვირის ვადით მიღება.

3. დამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შინა-მოსამსახურეს დაქირავების დროს მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ, და აგრეთვე მისი ჯანმრთელობის პერიოდული შემოწმება.

პერიოდულ შემოწმებას აწარმოებენ ჯანმრთელობის ორგანოები სამუშაოდროს.

შინა-მოსამსახურეს უფლება აქვს მოსთხოვოს დამქირავებელს ჯანმრთელობის მოწმობა იმ პირთა შესახებ, რომელთაც შინა-მოსამსახურე უნდა ემსახუროს.

4. მუშა მოსამსახურე და აგრეთვე შინა-მრეწველი და ხელოსანი, რომელსაც აქვს საბჭოთა არჩევის უფლება, მოვალეა შინა-მოსამსახურის დაქირავებისას მისცეს მას ანგარიშგასწორების წიგნაკი და დაქირავება აუწყოს სახალხო კვების მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ადგილობრივ განყოფილებას.

სხვა დამქირავებელი მოვალეა დასდოს შინა-მოსამსახურესთან წერილობითი შრომის ხელშეკრულება და დაარეგისტროს იგი სახალხო კვების მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ადგილობრივ განყოფილებაში.

5. ანგარიშგასწორების წიგნაკი დამქირავებელმა უნდა შეიძინოს თავის ხარჯზე, წიგნაკი შეივსება ორ ცალად, რომელთაგან ერთი ინახება დამქირავებელთან, ხოლო მეორე შინა-მოსამსახურესთან. ანგარიშგასწორების წიგნაკის ორსავე ცალში დამქირავებელი აღნიშნავს ანგარიშის გასწორების ყველა შემთხვევას.

6. თოთხმეტ წლისაზე უმცროსი არ შეიძლება დაქირავებულ იქნეს შინა-მოსამსახურედ: თოთხმეტიდან თხუთმეტი წლის ასაკამდე მოზარდის დაქირავება შეიძლება მხოლოდ მისი მშობლებისა თუ მეურვის თანხმობით და შრომის ინსპექტორის ნებართვით.

7. ანგარიშგასწორების წიგნაკში და აგრეთვე შრომის ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს:

ა) ის ძირითადი სამუშაოები, რისთვისაც დაქირავებულია შინა-მოსამსახურე, კერძოდ დამქირავებლის ოჯახის წევრთა რიცხვი, რომელთაც ემსახურება შინა-მოსამსახურე;

ბ) დაქირავების ვადა;

გ) სამუშაო დროის ხანგრძლივობა და განაწილება;

დ) სამუშაო ხელფასის სახე, რაოდენობა და გადახდის ვადა;

ე) მხარეთა შეთანხმებით დადებული დამატებითი პირობები.

ანგარიშგასწორების წიგნაკსა და ხელშეკრულებაში აღინიშნება აგრეთვე ნატურალური კმაყოფის შეფასება, უკეთუ იგი გათვალისწინებულია დაქირავების დროს.

სამუშაო ხელფასის ნატურალური ნაწილის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ამ ხელფასის ფულად ნაწილს. საცხოვრებელი სადგომის ღირებულება სამუშაო ხელფასში არ შედის.

8. სამუშაო ხელფასის სახე, რაოდენობა და გადახდის ვადები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით. სამუშაო ხელფასის რაოდენობა ას ოთხმოცდა თორმეტი საათისათვის თვეში არ შეიძლება იყოს სამუშაო ხელფასის იმ სავალდებულო მინიმუმზე ნაკლები, რაც ამა თუ იმ ადგილას არსებობს.

9. შინა-მოსამსახურის სამუშაო დღე შეიძლება დაიყოს რამდენსამე ნაწილად, ისე—კი, რომ თავისუფალი დრო შინა-მოსამსახურემ თავის სურვილი-სამებრ გამოიყენოს.

გარედან მოსიარულე შინა-მოსამსახურისათვის სამუშაო დღის განმავლობაში შეიძლება დაწესდეს არა უმეტეს, ვიდრე ორი შესვენება, თითო—არა უხანგრძლივეს ორი საათისა. ხოლო უკვე დაწესდება ერთი შესვენება, მისი ხანგრძლივობა ოთხ საათს არ უნდა აღემატებოდეს.

10. შინა-მოსამსახურის სპეციალურად ბავშვების ან ავადმყოფების მოსავლელად (ძიძა, მოვლელი) დაქირავების დროს პირობად შეიძლება დაიდოს ბავშვებისა და ავადმყოფების ღამით მოვლა.

ღამის სამუშაოზე მიშვება არ შეიძლება 16 წლისაზე უმცროსისა და აგრეთვე ორსულისა, დაწყებული ორსულობის მე-7-ე თვიდან.

11. უკეთუ მუშაობა, რომლისათვისაც დაქირავებულია შინა-მოსამსახურე, მოითხოვს ას ოთხმოცდა თორმეტ საათზე მეტ დროს თვეში, ან უკეთუ შეთანხმებით გათვალისწინებულია ღამით მუშაობა, თვიური სასყიდელი (ფულადი) ამ ზედმეტი მუშაობისათვის და აგრეთვე ფულადი წინამატი ღამით მუშაობისათვის შეიძლება განსაზღვრულ იქნეს დაქირავების დროს. დამატებითი სასყიდელი ზედმეტი და ღამით მუშაობისათვის შეიძლება შეტანილ იქნეს სამუშაო ხელფასის საერთო თანხაში.

მუშა-მოსამსახურეს და აგრეთვე შინაპრეწველს და ხელოსანს, რომელსაც აქვს საბჭოთა არჩევის უფლება, პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით, შეუძლიან სასყიდელი ზედმეტი და ღამით მუშაობისათვის გაიღოს, ნორმალურ სამუშაო დროს წარმოებული მუშაობის შეფასების კვალობაზე. დანარჩენი დამქირავებლები ზედმეტი და ღამით მუშაობისათვის სასყიდელს გაიღებენ ერთ-ორად ნორმალურ სამუშაო დროის საათობით სასყიდელთან შედარებით.

12. შინა-მოსამსახურეს კვირაში ერთხელ ეძლევა გამოსასვლელი დღე (კვირის რომელი დღეც უნდა იყოს), მხარეთა შეთანხმებით დაწესებული. (უკეთუ შინა-მოსამსახურის დამქირავებელი მუშა ან მოსამსახურეა განუწყვეტელ

საწარმოო კვირაზე გადასულ საწარმოსა თუ დაწესებულებაში, შინა-მოსამსახურის გამოსასვლელი დღეები შეიძლება დამჭირავებლის გამოსასვლელ დღეებთან იქნეს შეთანხმებული). შინა-მოსამსახურე განთავისუფლდება მუშაობისაგან დაწესებულ სარეგულირებელი დღეებში. უკეთუ შინა-მოსამსახურის რომელსამე ამ დღეს განთავისუფლება შეუძლებელია, მას უნდა მიეცეს სხვა თავისუფალი დღე ან სასყიდელი თვიური საშუალო სამუშაო ხელფასის ერთი მეთორმეტედის რაოდენობით თვითუფლები დღისათვის; ხოლო, უკეთუ ორი სარეგულირებელი დღე ზედი-ზედ მოდის (მაისის 1-2 და ნოემბრის 7-8), შინა-მოსამსახურე, ყოველ შემთხვევაში, განთავისუფლებულ უნდა იქნეს ერთ-ერთ ამ დღეს.

13. უკეთუ დაჭირავების პირობების მიხედვით შინა-მოსამსახურეს საღამოთი უხდება მუშაობა, დამჭირავებელი მოვალეა გაანთავისუფლოს იგი საზოგადოებრივი მუშაობისა და სწავლებისათვის კვირაში ორ საღამოს, ყოველკვირულ გამოსასვლელ დღის გარდა (მუხ. 16), თუ კვირა შეიძლიანია, და ერთ საღამოს, თუ კვირა ხუთდღიანია, — არა ნაკლებ, ვიდრე ოთხი საათის ვადით.

უკეთუ შინა-მოსამსახურის განთავისუფლება საღამოობით შეუძლებელია, მას ზემოაღნიშნული საათები დღისით უნდა მიეცეს.

14. შრომის ხელშეკრულება შინა-მოსამსახურესთან შეიძლება მოწოდებული იქნეს ყოველთვის, როდესაც კი ერთ-ერთი მხარე ამას მოისურვებს. იმ შემთხვევაში, როდესაც შინა-მოსამსახურე დროებით დაკარგავს შრომის უნარს, მისი დათხოვნა ერთი თვის განმავლობაში შრომის უნარის დაკარგვის დღიდან არ შეიძლება, უკეთუ შინა-მოსამსახურე დამჭირავებელთან ცხოვრობს, და ორი თვის განმავლობაში დღიდან შრომის უნარის დაკარგვისა, უკეთუ შინა-მოსამსახურე გარედან მოსიარულეა.

ორსულობისა და შობიარობის შემთხვევაში გარედან მოსიარულე შინა-მოსამსახურეს შეენარჩუნება ადგილი რვა კვირის განმავლობაში შობიარობამდე და რვა კვირის განმავლობაში შობიარობის შემდეგ.

15. შინა-მოსამსახურის დათხოვნის დროს დამჭირავებელი მოვალეა მისცეს მას გამოსასვლელი დახმარება ორი კვირის სამუშაო ხელფასის რაოდენობით ან გააფრთხილოს იგი დათხოვნის შესახებ ორი კვირით ადრე.

დამჭირავებელი განთავისუფლდება გამოსასვლელი დახმარების გაცემისაგან (ან გაფრთხილებისაგან დათხოვნის შესახებ), უკეთუ დათხოვნა მოხდა:

ა) დაჭირავების ვადის გასვლის გამო, როდესაც შრომის ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით;

ბ) უკეთუ შინა-მოსამსახურე სისტემატიურად არ ასრულებს ნაკისრ მოვალეობას;

გ) უკეთუ შინა-მოსამსახურე დაპატიმრებულია ხუთ დღეზე მეტი ხნით, ან უკეთუ მან ჩაიდანა დანაშაული, რაც დამტკიცებულია სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით;

დ) უკეთუ წინასწარი გამოცდის დროს (ორი კვირის განმავლობაში) გამოირკვევა, რომ შინა-მოსამსახურე ვერ გამდგება სამუშაოდ;

ე) უკეთუ შინა-მოსამსახურემ დაჰკარგა შრომის უნარი;

16. დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულ შინა-მოსამსახურეს უფლება აქვს სამუშაო დროს, დღეში ორი საათით, დასტოვოს ხოლმე სამსახური სამუშაოს საძებნელად.

17. ის შინა-მოსამსახურე, რომელიც სტოვეებს სამუშაოს საკუთარი სურვილით, მოვალეა დამქირავებელი შვიდი დღით ადრე გააფრთხილოს.

18. ის შინა-მოსამსახურე, რომელიც დელეგატია და აგრეთვე წევრია ადგილობრივი თუ ჯგუფური კომიტეტისა ან კავშირის გამგეობისა, შეიძლება დათხოვნილ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს შვიდი დღით ადრე დათხოვნამდე ეცნობება პროფესიონალური კავშირის სათანადო ორგანოს.

19. უკეთუ დამქირავებელი გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს და მას თან წაჰყვება შინა-მოსამსახურე, დამქირავებელი მოვალეა გაილოს ყველა ის ხარჯი, რაც ამ გადასვლასთან იქნება დაკავშირებული.

20. დამქირავებელს უფლება არა აქვს თავის სურვილით გამოუქვითოს რამე შინა-მოსამსახურეს სამუშაო ხელფასიდან. უკეთუ შინა-მოსამსახურე განზრახ ან უხეში დაუდევრობის გამო მიაყენებს დამქირავებელს ზარალს ქონების გაფუჭებით თუ დაკარგვით, დამქირავებელს შეუძლიან მოსთხოვონ შინა-მოსამსახურეს, შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოსთან არსებულ შეთანხმებულ კომისიაში ან სახალხო სასამართლოში ზიანის ანაზღაურება.

21. შინა-მოსამსახურეს სპეციალური ტანსაცმელი ეძლევა შრომის ხელშეკრულობის პირობების თანახმად, ხოლო არა ნაკლებ იმ ნორმისა, რაც დადგენილია საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

22. დათხოვნილ შინა მოსამსახურეებს, ორი კვირის განმავლობაში დღიდან მისი დათხოვნისა, უფლება აქვს იცხოვროს იმ ბინაზე, რაც მას ჰქონდა დამქირავებელთან, ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი მოვალეა გაანთავისუფლოს ბინა.

უკეთუ შინა-მოსამსახურე დათხოვნილ იქნება სასამართლოს განაჩენით დამტკიცებული დანაშაულისათვის, იგი მოვალეა დათხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დამქირავებლის ბინა. ის შინა-მოსამსახურე, რომელიც სამუშაოს თავის სურვილით ანებებს თავს, ვალდებულია დამქირავებლის ბინა შვიდი დღის ვადაზე გაანთავისუფლოს.

უკეთუ დათხოვნილი შინა-მოსამსახურე გამოსახლების დროს ორსულია ან ნაშობიერევი, იგი აუცილებლად მიღებულ უნდა იქნეს დედათა და ბავშვთა სახლში; დათხოვნის დროს გამოსავლებული შინა-მოსამსახურე, უკეთუ იგი ავადმყოფია, შექველად მიღებულ უნდა იქნეს საავადმყოფოში.

დათხოვნილ შინა-მოსამსახურეთა ზემოაღნიშნულ სამკურნალოდ დაწესებულებებში მიღების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

23. კონფლიქტი დამქირავებელსა და შინა-მოსამსახურეს შორის გადაწყდება ან შრომის ადგილობრივ ორგანოსთან არსებულ შეთანხმებულ კომისიაში ან შრომის სესიაში. შეთანხმებელი კომისიების მოწყობისა და მოქმედების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი.

24. ბათილია შეთანხმება შინა-მოსამსახურის შრომის პირობების შესახებ, უკეთეს იგი აღარცხება ამ პირობებს ამა დადგენილებით და შრომის საერთო კანონმდებლობის იმ ნაწილით დაწესებულ პირობებთან შედარებით, რაც შინა-მოსამსახურეთ ეხება.

25. პროფესიონალური კავშირის ადგილობრივი ჯგუფური კომიტეტების შესანახად და შინა-მოსამსახურეთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის საწარმოებლად-დამკირავებელნი მუშა-მოსამსახურეთაგან და საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე-შინამრეწველთა და ხელოსანთაგან მოვალენი არიან ყოველთვიურად შეიტანონ კავშირში შინა-მოსამსახურესათვის გადახდილი სამუშაო ხელფასის საერთო თანხის ანარიცხი ორი პროცენტის რაოდენობით. დანარჩენი დამკირავებელნი ამ ანარიცხს შეიტანენ სამი პროცენტის რაოდენობით.

26. შინა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევა სწარმოებს „ოჯახურ მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 48 №-ი, მუხ. 428).

27. დამკირავებელს უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელთა შინა-მოსამსახურის შრომის პირობების გამორკვევის საქმეში.

28. ამა დადგენილებაში აღნიშნული წესები არა ვრცელდება იმ შინა-მოსამსახურეებზე, რომელნიც დაქირავებით სავლახო მეურნეობაში მუშაობენ. მათზე ვრცელდება წესები დაქირავებული შრომის სავლახო მეურნეობაში გამოყენების შესახებ.

29. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. თებერვლის 17-ის დადგენილება „იმ პირთა (შინა-მოსამსახურეთა) შრომის პირობების შესახებ, ვინც დაქირავებით მუშაობს დამკირავებლის სახლში და ემსახურება ამ უკანასკნელს პირადად და მის ოჯახს“ (კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 22).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

282. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 № ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156¹ მუხლი (კან. კრ. 1929 წ. 16 №-ი, მუხ. 171) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 156¹. მუნიციპალურ სახლებში, მათ შორის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებშიც და აგრეთვე კერძო სახლმფლობელობაში, უკეთუ ამ სახლმფლობელობაში მუშა-მოსამსახურეთაგან დაჭერილი ოთახების რიცხვი არ აღემატება კომუნალურ ფონდის ნორმას, რაც ამა თუ იმ ქალაქისათვის დადგენილია, მშრომელთ უფლება აქვთ გაუცვალონ ერთმანეთს საცხოვრებელი სადგომები ერთი და იმავე ქალაქისა და მისი მიდამოების ფარგლებში; ხოლო, უკეთუ ბინების გაცვლა საჭიროა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეებს შორის, მათი მუშაობის ადგილის შეცვლის გამო, ერთ ქალაქში მდებარე ბინა შეიძლება გაცვილი იქნეს მეორე ქალაქში მდებარე ბინაზე. საცხოვრებელი სადგომების გაცვლა დროზე უნდა ეცნობოს სათანადო სახლის სამოურაოს.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მხოლოდ საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი—სასახლე.

283. დადგენილება ც. ა. კ. და ს. ს. კ.

სარეწაო კოოპერაციის დებულებისათვის 45¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სარეწაო კოოპერაციის დებულებას (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78) დაემატოს 45¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„45¹. სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობის (არტელის) ის წევრი, რომელიც გაწვეული იქნება მუშათა და გლეხთა წითელ არმიასში, არ შეიძლება გამოირიცხოს იქნეს ამხანაგობის (არტელის) წევრთა შედგენილობიდან, თუნდაც მას ჯარში გაწვევის დროს გატანილი ჰქონდეს საკუთარი პაი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. თოდრია.

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

284. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სარეწაო კოოპერაციის დებულების 90 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

„მარტოხელა შინამრეწველთა საზოგადოებების სარეწაო კოოპერაციის სისტემაში მოქცევის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 6-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 26 №-ი, მუხ. 295) საფუძველზე—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სარეწაო კოოპერაციის დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 10 №-ი, მუხ. 78) 90 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** სარეწაო კოოპერაციის კავშირში წევრად შესვლა შეუძლიანთ მარტოხელა შინამრეწველთა საზოგადოებებსაც, რომელნიც განსაკუთრებული დებულების საფუძველზე მოქმედებენ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

285. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

იმ ინსტრუქციის ძალადაკარგულად ჩათვალის შესახებ, რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 23 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ იქნა სსრ-კ-ის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის შეღავათების შესაფარდებლად შრომითი მიწათსარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში.

რადგანაც სსრ-კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებულია სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსი (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი მუხ. 253), რომლის მე-12 მუხლის თანახმადაც ინსტრუქციებს ამ კოდექსის შეფარდებისათვის გამოსცემენ სსრ-კ-ის სახალხო კომისარიატები და მოკავშირე რესპუბლიკების არა გაერთიანებული სახალხო კომისარიატები, სამხედრო უწყების სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 23 №-ის დადგენილებით დამტკიცებული „ინსტრუქცია სსრ-კ-ის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახებისათვის შრომითი მიწათსარგებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში შეღავათების შეფარდების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 23), რომელი ინსტრუქციაც გამოცემულ იქნა აწ გაუქმებული „მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა შეღავათების და უპირატესობის 1924 წ. ოქტომბრის 29-ის კოდექსის (სსრკ კან. კრ. 1924 წ. 21 №-ი, მუხ. 198) მე-13 მუხლის მე-3 შენიშვნის შესასრულებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მაგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

286. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ბინებში იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ბინებში იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 11-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81) მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 5. ნაცონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში, სადაც საცხოვრებელი სივრცე მიღებული აქვთ ამ სახლებში მოთავსებული დაწესებულებისა და საწარმოს მომუშავეთ, მათი მუშაობისა თუ სამსახურის ხასიათის მიხედვით, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებაზე და მის თანაბარ დაწესებულებაზე და საწარმოზე, არსებული წესისამებრ, მიმაგრებულ სახლებში და სამანევრო ფონდის სახლებში ზედმეტი სივრცის ჩამოსართმევად, რათა ეს სივრცე გამოყენებულ იქნეს დაწესებულებისა და საწარმოს საჭიროებისათვის ან მიეცეს საცხოვრებლად თუ სამუშაოდ ამ დაწესებულებისა და საწარმოს მომუშავეთ, ხოლო სამანევრო ფონდის სახლებში, საერთოდ, განთავსულებული საცხოვრებელი სივრცის მიზანშეწონილად გამოყენებისათვის; შეიძლება იძულებითი შემჭიდროება ზედმეტი ოთახის ჩამორთმევით, ბინის გადაკეთებით ან გადასახლებით იმავე სახლის ფარგლებში, იმ პირობით კი, რომ შემჭიდროვებულ პირს მიეცეს, შემამჭიდროებელი დაწესებულების თუ საწარმოს ხარჯით, სხვა სათანადოდ გამოსაყენებელი და მოხერხებული ბინა, რომლის საცხოვრებელი სივრცეც არ უნდა იყოს დადგენილ ნორმაზე ნაკლები, ხოლო სამანევრო უწყების სახლებში ამა თუ იმ ადგილას არსებულ ფაქტიურ ნორმაზე ნაკლები.

იძულებითს შემჭიდროებას და გადასახლებას ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოახდენს აღმინისტრაციული წესით მილიციის ორგანო იმ დაწესებულების თუ საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების თანახმად, რომელზედაც მიმაგრებულია სახლი.“

2. მე-5 მუხლის შენიშვნა ძალაში დარჩეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

საქართველოს ალმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

287. დადგენილება ც. ა. ძ.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონის გაუქმების თაობაზე გამოცემული 1930 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონების გაუქმების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილების (გაზ. „კომუნისტი“-ს 192 №-ი) 1-ლი მუხლის „ბ“ და „გ“ შესაცვლელად—ნაზარლოს, ყარაიის, აღთაღლის, ნორიოს და მარტყოფის სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულები გადავიდეს ტფილისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრა**.

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ 227 №-ში 1930 წ. სექტემბრის 28.

288. დადგენილება ც. ა. ძ.

ქუთაისის და კრებალოს რაიონების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონების გაუქმების შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილების (გაზ. „კომუნისტი“-ს 192 №-ი) დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ქუთაისის რაიონი და მის შედგენილობაში შემავალი მალაკის, მუხიანის, ნამახვანის, ოფურჩხეთის, პატრიკეთის, ნახშირღელეს, რიონის, საყულიის, ფარცხანაყანევის, ქვიტირის, წყალტუბოს, კოგნარის და ქვედა-სიმონეთის სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულები და დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო საბჭოს.

2. გაუქმებულ იქნეს კრებალოს რაიონი და:

ა) მიქვენისა და ტყვიის სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულები გადავიდეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებში;

ბ) ბარეულის, ბუგეულის, ნამანევის, პატარა-ონის, ლადიშის, ღვარდიის, ცახის, კრებალოს, ჭყვიშის, ხვანჭკარის და ხონჭიორის სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულები—აბროლაურის რაიონის შედგენილობაში;

გ) ალპანის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეული—ცაგერის რაიონის შედგენილობაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ 227 №-ში 1930 წ. სექტემბრის 28.

289. დადგენილება ც. ა. კ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული: 1) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურა, შტატები და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთები და 2) რაიონების კატეგორიებად განრიგება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შტატებისა და მომუშავეთა ხელფასის მიხედვით.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლ დანართში აღნიშნული სტრუქტურა, შტატები და სამუშაო ხელფასის განაკვეთები შემოღებულ იქნეს 1930 წლის ოქტომბრის 1-დან. ამასთანავე უფლება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილებით ოლქებისა და მახრების სალიკვიდაციოდ მოწყობილ ადგილობრივ კომისიებს, სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, შეამცირონ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საშტატო ერთეულების რიცხვი, ხოლო იმავე დანართში გათვალისწინებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურის შეუცვლელად.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 18-ის დადგენილება „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, ტიპობრივი შტატებისა და სამუშაო ხელფასის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ დანართითურთ (გაზ. „კომუნისტი-ს“ 194 №-ი) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. სექტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

დანართი 1 სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურის, შტატების და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ გამოცემული დადგენილებისა.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურა, შტატები და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთები.

ნაწილისა, განყოფილებისა და თანამდებობის სახელწოდება	I კატეგორია		II კატეგორია		III კატეგორია	
	საშტატო ერთეული	თვიური ჯამი.	საშტატო ერთეული	თვიური ჯამი.	საშტატო ერთეული	თვიური ჯამი.
სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე	1	160	1	180	1	200
სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი	1	125	1	140	1	170
საბჭოთა მშენებლობის და მასიური მუშაობის ინსტრუქტორი	1	110	1	125	1	140
ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის მდივანი	1	110	1	125	1	140
ს უ ლ	4	—	4	—	4	—
ვაკრობის ინსტრუქტორი	1	125	1	140	1	170
ს უ ლ	1	—	1	—	—	1
ს ა გ ე გ მ ო -ს ა ს ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ო ნ ა წ ი ლ ი						
ეკონომისტი მეგეგმე	1	170	1	170	1	170
სტატისტიკოსი	1	55	1	65	1	70
ს უ ლ	2	—	2	—	2	—
ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო გ ა ნ ყ .						
გამგე, იგივე სარ. აღმ. კ-ტის თავმჯდომარის მოადგილე	1	150	1	165	1	180
აგრონომი	1	200	1	200	1	200
ვეტერინარი-ექიმი	1	200	1	200	1	200
მიწათმომწყოები	1	175	1	175	1	175
მდივანი საქმისმწარმოებელი	—	—	1	60	1	60
ს უ ლ	4	—	5	—	5	—
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა						
გამგე, იგივე სარაიონო აღმ. კ-ტის თავმჯდომარის მოადგილე	1	150	1	165	1	180
საფინანსო ინსპექტორი	1	110	1	125	1	140
საფინანსო აგენტი	—	—	1	60	1	60
ბუხგალტერი	1	120	1	125	1	135
მოანგარიშე	—	—	—	—	1	60
ადგილობრივი ბიუჯეტის ინსპექტორი	1	110	1	125	1	140
სახელმწიფო დახდევის ინსტრუქტორი	1	110	1	125	1	140
ს უ ლ	5	—	6	—	7	—

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება						
გამგე	—	—	—	—	1	180
ტენიკოსი	1	175	1	175	1	175
გზათა მშენებლობის ტენიკოსი	—	—	1	175	1	175
ს უ ლ	1	—	2	—	3	—
სოციალური კულტურული განყოფილება						
გამგე, იგივე სახალხო განათლებისა და სოც. აღზრდის ინსპექტორი	1	150	1	165	1	180
სახ. გან. და სოც. აღზრდის ინსპექტორი	1	115	1	130	1	150
ჯანმრთელობის ინსპექტორი	1	185	1	185	1	185
შრომისა და სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორი	1	115	1	130	1	150
ს უ ლ	4	—	4	—	4	—
საადმინისტრაციო განყ.						
გამგე, მილიციის უფროსი	1	125	1	140	1	170
საქმისმწარმოებელი	1	55	1	60	1	60
სამხედრო მაგიდის გამგე	1	75	1	85	1	100
ს უ ლ	3	—	3	—	3	—
საერთო განყოფილება.						
გამგე, იგივე პრეზიდიუმის მდივანი შეთავსებით.						
საქმისმწარმოებელი	1	55	1	60	2	60
მანქანით გადაწყვეტი	1	55	2	60	2	65
შიკოიკი-დამლაგებელი	1	30	1	35	2	40
ზოფერი	—	—	1	150	1	150
მეტელე-მეჯინიბე	1	40	—	—	—	—
ს უ ლ	4	—	5	—	7	—
მუშათა და გლეხთა ინსპექცია						
მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე ან რწმუნებული	1	160	1	180	1	200
ინსპექტორი	—	—	1	125	1	140
ს უ ლ	1	—	2	—	2	—
ჯ ა მ ი	29	—	34	—	38	—

- შენიშვნა 1. საგემო სასტატისტიკო ნაწილის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.
- შენიშვნა 2. ადგილობრივი განყოფილების გამგის თანამდებობა დაარსდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, უკეთეს რაიონში იქნება განვითარებული კომუნალური მეურნეობა.
- შენიშვნა 3. ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის მდივნის თანამდებობა დაარსდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, უკეთეს საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ნორმალური მუშაობა ქალთა შორის.

დანართი მე-2 დადგენილებისა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურის, შტატების და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ.

რაიონების კატეგორიზაციის განრიგება

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის მიხედვით.

რაიონების სახელწოდება.	კატეგორიები.		რაიონების სახელწოდება.	კატეგორიები.	
	შტატის მიხედვით.	განაკვეთის მიხედვით.		შტატის მიხედვით.	განაკვეთის მიხედვით.
1. აბაშის	2	2	25. ლიუქსემბურგის	2	2
2. ადიგენის	2	2	26. მარტვილის	3	3
3. ამბროლაურის	2	2	27. მცხეთის	2	2
4. აღბულაღ-მანგლისის	2	2	28. ოზურგეთის	3	3
5. ახალქალაქის	3	3	29. ოკრიბის	2	2
6. ახალციხის	3	3	30. ონის	2	2
7. ბაღდადის	2	2	31. სამტრედიის	3	3
8. ბაშკინეთის	2	2	32. სენაკის	3	3
9. ბორჩალოს	2	2	33. სიღნაღის	3	3
10. ბორჯომის	2	2	34. ტოლოშის	1	2
11. გარე-კახეთის	2	2	35. ქვემო-სვანეთის	1	3
12. გორელთა	2	2	36. ყვარელის	2	2
13. გორის	3	3	37. ჩოხატაურის	2	2
14. გურჯაანის	3	3	38. ჩხარის	2	2
15. დუშეთის	2	2	39. ჩხოროწყუს	2	2
16. ერწო-თიანეთის	1	2	40. ცაგერის	2	2
17. ვანის	2	2	41. წალენჯიხის	2	2
18. ზემო-სვანეთის	1	3	42. წალკის	2	2
19. ზესტაფონის	3	3	43. კიათურის	3	3
20. ზუგდიდის	3	3	44. ხარაგაულის	2	2
21. თელავის	3	3	45. ხაშურის	3	3
22. კასპის	2	2	46. ხევის	1	3
23. ლაგოდეხის	2	2	47. ხობის	2	3
24. ლანჩხუთის	2	2	48. ხონის	2	2

გამოკვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 227 №-ში 1930 წ. სექტემბრის 28.

290. დადგენილება ც. ა. კ.

ფიზკულტურის დარგში მუშაობის გაძლიერების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურული მუშაობა წარმოადგენს კულტურულ-განმანათლებელ და გამაჯანსაღებელ მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს, მას დღემდის არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ადგილობრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ არიან ჩაბმულნი ფიზკულტურის მუშაობაში და არ აქცევენ საკმაო ყურადღებას მის გაუმჯობესების საკითხებს, რაც იწვევს მატერიალურ ბაზის სრულ უქონლობას ამ საქმისათვის.

მუშაობის გამოკოცხლების და განმტკიცების მიზნით სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიენდოს აქარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებს და წინადადება მიეცეს ყველა საოლქო და სამაზრო აღმასკომებს:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა ფიზკულტურის მუშაობის დარგში, რისთვისაც სისტემატიურად მოისმინონ თავიანთ სხდომებზე ფ.-კ. საბჭოების და ორგანიზაციების მოხსენებები. ყურადღება მიაქციონ, რომ ფიზკულტურის საბჭოების თავმჯდომარეები და მთლიანად პრეზიდიუმები მუშაობის უნარიანობას იჩენდნენ. გარდა ამისა სისტემატიურად უნდა ტარდებოდეს ფიზკულტურის მუშაობის შემოწმება.

ბ) აღმასკომებმა მიიღონ ზომები, რომ ადგილობრივ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფიზკულტურის მუშაობაში, რისთვისაც საჭიროა უახლოეს ხანშივე ჩატარებულ იქნეს განსაკუთრებული თათბირი (აღმასკომების ხაზით) ფიზკულტურულ მუშაობის შესახებ.

2. სთვლის რა 1929-30 წლის საბიუჯეტო ასიგნოებს არა საკმარისად ანდობს ყველა ავტ. რესპუბლიკების ცენტრ. აღმ. კომიტეტებს და წინადადებას აძლევს საოლქო და სამაზრო აღმასკომებს და საქ. საფინანსო კომისარიატს ფიზკულტურის საბჭოების მიერ 1929-30 წლისათვის წარმოდგენილი ბიუჯეტები უკლებლივ დასტოვონ და ზომები მიიღონ აღნიშნულ ხარჯთ-ალრიცხვებში ფიზკულტურულ მუშაობისათვის საჭირო აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად.

3. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს შეიმუშაოს უახლოეს დროში ფ.-კ. საბჭოების მუდმივი შტატები სსსრ-ის ახლად დარაიონების მიხედვით; ამასთანავე ყველა რაიონებში, მიუხედავად მისი ხარისხისა, რაიაღმასკომების შტატებში შეტანილ იქნეს ფიზკულტურის ინსტრუქტორთა საშტატო თანამდებობა, პირველ ხარისხის რაიონში—ასი მანეთის, მეორე ხარისხის—85 მან. და მესამე ხარისხის—75 მან. ხელფასის გათვალისწინებით.

4. განსახკომის ხაზით:

ა) წინადადება მიეცეს სახ. განათლების კომისარიატს ფიზალზრდას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და იგი გაძლიერებულ იქნას კომპლექსიურ სისტემასთან შეფარდებით;

ბ) ამასთანავე ერთად შეტანილ იქნეს მასწავლებლების და სოფლის სამკითხველოების გამგეების გადასამზადებელ კურსების პროგრამაში ფ.-კ. საგნები იმ რაოდენობით, რომ შესაძლებელი გახდეს ამ კადრების საშუალებით სკოლებში და სამკითხველოებში ფიზკ. მუშაობის ჩატარება;

გ) გახსნილ იქნეს 1930-31 სამოსწავლო წლებში ფიზკულტურის ტექნიკუმი, ან სხვა სპეციალური სასწავლებელი ფ.-კ. ინსტრუქტორების მოსამზადებლად;

დ) დადგინდეს სახ. უნივერსიტეტში (პედ. ფაკულტეტთან) ფიზკულტურის კათედრა და დაევალოს უნივერსიტეტის გამგეობას სამკურნალო ფაკულტეტზე გახსნას ფიზკულტურული კათედრა;

ე) პედაგოგიურ ტექნიკუმებში გათვალისწინებული იქნეს ფ.-კ. განყოფილებები 4 წლებების მომავალ მასწავლებელთა ფიზკულტურის აღზრდის დარგში მოსამზადებლად;

ვ) უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურის სავალდებულო საგნათ შემოსაღებათ დაევალოს სახ. განათლების კომისარიატს გასწიოს ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა და პირველყოვლისა სასწავლებლის ფიზკულ. ანაგებობით უზრუნველსაყოფად;

ზ) გაითვალისწინოს 5 წლიან გეგმის გადასინჯვის დროს სპორტ-დარბაზების და თითო სპორტ-მოედნების მოწყობა ყოველ ტიპის თვითეულ სკოლასთან;

თ) უზრუნველყოს 1929-30წ. ბიუჯეტში ფიზკულტურული სასკოლო დღესასწაულების ჩატარება როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

ი) გადიდებულ იქნეს ფ.-კ. მუშაკების რაოდენობა გან. სახ. კომ-ში სათანადო შტატის გათვალისწინებით;

კ) მიეცეს წინადადება სახ. გამომცემლობას, რათა მიმდინარე წლის გეგმაში შეტანილ იქნეს სათანადო ფ.-კ. პოპულიარული და სამეცნიერო ორიგინალურ და ნათარგმნ ლიტერატურის გამოცემა საქ. ფ.-კ. უ.ს. მითითებით;

ლ) წინადადება მიეცეს სახ. კინო მრეწველობას შეიტანოს 5 წლიან საწარმოო გეგმაში 1) ფიზკულტურის სურათების გადაღება, 2) ფიზკულტურულ ფილმებით კომერციულ და საკლუბო ეკრანის უზრუნველყოფა, 3) ფიზკულტურულ დღესასწაულების და მუშაობის კინო-ქრონიკის სახით სისტემატიური გადაღება;

მ) წინადადება მიეცეს მთავლიტს ფიზკულტურულ გამოცემების ნებართვა აუცილებლად შეუთანხმოს ფ.-კულტ. უმ. საბჭოს.

ნ) წინადადება მიეცეს პოლიტგანის მთავარ სამმართველოს გააძლიეროს მუშაობა სოფლად ფიზკულტურულ დარგში, რაც უნდა გამოიხატოს: 1) ქობ-სამკითხველოებთან ფიზკულტურის წრეების ჩამოყალიბებაში, 2) თავისი ბიუჯეტიდან ფ.-კ. სამუშაოთ საჭირო თანხის გამოყოფაში, 3) სამკითხველოების უზრუნველყოფაში ფიზკულტურის პერიოდულ პოპულიარულ და სამეცნიერო ლიტერატურით;

ო) წინადადება მიეცეს გან. კომისარიატს ერთ-ერთ საჯარო ბიბლიოთეკასთან შექმნას საჩვენებელი ფიზკულტურული განყოფილება საქ. ფიზ. კულ. უმ. საბჭოს ხელმძღვანელობით;

3) წინადადება მიეცეს უნივერსიტეტის სამეცნიერო დაწესებულებებს მიიღონ მონაწილეობა ფიზ. კულტ. უმ. საბჭოს მეცნ. საგამომკვლევო სექტორის მუშაობაში, რაც განათლების კომისარიატმა კოლეგიის სათანადო დადგენილებით უზრუნველჰყოს მატერიალური სახსრებით;

რ) საბავშვო ბაღებში ფიზკულ. აღზრდის გამოსასწორებლად წინადადება მიეცეს გან. კომისარიატს მოაწიოს 9 თვიანი კურსები საბავშვო ბაღების მასწავლებელთა ფიზკულტურის დარგში მოსამზადებლად და უზრუნველჰყოს საბავშვო ბაღები საჭირო სატანვარჯიშო და საექიმო, ხელსაწყოებით.

5. ჯანსაჩქომის ხაზით:

ა) წინადადება მიეცეს ჯან. სახ. კომისარიატს გააძლიეროს მუშაობა ფიზკულტურაზე სამკურნალო კონტროლის უზრუნველყოფისათვის;

ბ) საექიმო კონტროლის დარგში, პრაქტიკულ ღონისძიების გარდა, წარმოებულ იქნეს აგრეთვე სამეცნიერო საგამომკვლევო მუშაობაც, რისთვისაც დაინტერესებულ უწყება ორგანიზაციების თანამონაწილეობით დაარსებულ იქნეს ფიზიკური კულტურის **სამეცნიერო ბაზა**;

გ) დაარსებულ იქნეს ცენტრში საცდელ-საჩვენებელი ბიომეტრიული კაბინეტი;

დ) მოეწყოს თბილისის ცენტრალურ პოლიკლინიკასთან ფიზკულტურის კონსულტაცია;

ე) საოლქო ცენტრებში (თბილისში, ქუთაისში, გორში, გურჯაანში), აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან დაარსებულ იქნეს ფიზკულტურის ბიუროები;

ვ) მიღებულ იქნეს ზომები რესპუბლიკაში (პირველ რიგში საოლქო ცენტრებში და მუშურ რაიონებში) ბიომეტრიულ კაბინეტების მოსაწყობად;

თ) გახსნილ იქნეს სპეც. კურსები ფიზკულტურის დარგში მომუშავე ექიმთა კადრის შექმნისათვის;

ბ) დაინტერესებულ უწყებების გაერთიანებულ ძალით და საშუალებით (ფ.-კ. უმ. საბჭოს, განსახკომი, პროფსაბჭო და სხვა) მოეწყოს ფიზკულტურის ინსტრუქტორთათვის გადამამზადებელ-მოსამზადებელი კურსები;

კ) წინადადება მიეცეს საკურორტო სამმართველოს, საქ. სოკ. დაზღვევის ორგანოებთან ერთად გააძლიეროს კურორტებზე ფიზკულტ. დარგში მუშაობა და ყველა დასასვენებელ სახლებში და შეძლების მიხედვით სანატორიუმებში შემოღებულ იქნეს ფიზკულტურა, როგორც ერთ-ერთი საკურნალო-პროფილაქტიური ფაქტორი და უზრუნველჰყოს ამ დარგში მუშაობა ექიმების და ხელმძღვანელოების სათანადო მომზადებით. ამისათვის 1929-30წ. ბიუჯეტით ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს კადრების მოსამზადებელი კურსების, კურორტებზე ბიომეტრიულ კაბინეტების და ფიზკულტურის მოწყობის ხარჯები.

6. წინადადება ეძლევა ყველა სამეურნეო დაწესებულებებს და წარმოებებს როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო და საზოგადო ბიუჯეტზე მყოფ და აგრეთვე ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს, დააწესონ სავალდებულო ანარიცხი მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან და

კოოპერატიულ დაწესებულებათა კულტფონდიდან 5 პროც. რაოდენობით. საქ. ფიზ. კულტ. უმ. საბჭოს მასიურ გამაჯანსაღებელ მუშაობის ფონდში.

7. რადგანაც აღმშენებლობის 5 წლიან გეგმაში არ არის შეტანილი სპორტ-აღმშენებლობის და ფიზკულტურის სხვა საკითხები, დაევალოს საქ. საგეგმო კომისიას ფ.კ.უ. საბჭოსთან და დაინტერესებულ უწყებასთან ერთად—შეადგინოს აღმშენებლობის და ფ. კ. საინსტრუქტორო კადრების მომზადების გეგმა.

8. წინადადება მიეცეს ყველა აღმასკომებს დაევალონ კომუნალურ მეურნეობის ორგანოებს, ქალაქის დაგეგმვის შედგენის დროს, გაითვალისწინონ მიწების გამოყოფა ფიზკულტურულ აღმშენებლობისათვის მათი ქალაქის კეთილმოწყობის გეგმაში შეტანით და გამოსცენ დადგენილებანი ფიზიკურ კულტურის აღმშენებლობის წასახალისებლად ცალკე ორგანიზაციების ხაზით.

9. წინადადება მიეცეს ყველა აღმასკომებს გაითვალისწინონ კომუნალური გადასახადების ყოველგვარი შეღავათი ფ.კ. ორგანიზაციებისათვის (წყალი, განათება, ბინის ქირა და სხვა).

10. ქალ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის და გურჯაანის აღმასკომებს ევალებათ შეიტანონ ქალაქის კეთილმოწყობის გეგმაში ფიზკულტურის საჭირო ანაგებობის (სტადიონი, წყალსადგური, დარბაზი, აუზი, ჩოქბურთის მოედანი და სხვ.) მოწყობა, მიენდოს აფხაზეთის ცაკს იგივე ღონისძიება მიიღოს ქალ. სოხუმის მიმართ.

11. დაევალოს ფიზკულტურის უმ. საბჭოს და ფიზკულტურის დარგში მომუშავე ყველა უწყება-ორგანიზაციებს, თავიანთ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს, გაითვალისწინონ ფ.-კ. ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსების საჭირო ხარჯები; გარდა ამისა სოფელში საინსტრუქტორო კადრების სიმცირის გამო, წინადადება ეძლევა საოლქო აღმასკომებს დაინტერესებულ ადგილობრივ ორგანოებს თანამონაწილეობით და საქ. ფ.კ.უ.ს. შეთანხმებით ადგილობრივად მოაწყოს ფ. კ. ანალოგიური კურსები.

12. წინადადება მიეცეს საქ. სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან შეჯიბრებების საოპერაციო მუშაობის უზრუნველსაყოფად გამოჰყოს საჭირო თანხები საქ. ფიზ. კულტ. უმ. საბჭოს სამუშაო გეგმის მიხედვით.

13. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციებს მოედნების და დარბაზების ჩამორთმევა და გადაკეთება ფიზკულტურის საბჭოს სამეცნ. კომიტეტის ნებართვის გარეშე.

14. ფიზკულტურის დარგში სამეცნიერო მუშაკების მომზადებისათვის საჭიროდ იქნას ცნობილი ყოველწლიურად ფ.-კ. მომუშავეების მივლინება ქ. მოსკოვში და ლენინგრადის ინსტიტუტებში, რისთვისაც საქართველოს განსახკომს, პროფკავშირებს და ცალკე დაინტერესებულ ორგანიზაციებს ევალება დაარსონ სტიპენდიები, ხოლო საქ. ც. ა. კ. ის ხარჯზე. ყოველწლიურად გაიგზავნოს 3 კაცი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. თებერვლის 4.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 52 №-ში 1930 წ. მარტის 5.

291. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლონიის 1-ლი №-ის საბჭოთა მეურნეობისათვის ს. ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლონიის 1-ლი №-ის საბჭოთა მეურნეობას მიეკუთვნოს ს. ორჯონიკიძის სახელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1930 წ. საქტემბრის 19.

ტფილისი-სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

292. დადგენილება ს. კ. ს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავისუფალი რეალიზაციის თაობაზე გამოცემულ მთავრობის დადგენილებათა დარღვევის შემთხვევების მოსპობის შესახებ.

რადგანაც შემჩნეულია, რომ ადგილობრივ უხეშად ირღვევა ხოლმე ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 14-ის თარიღისა და 242 №-ის დადგენილება „გლეხების მიერ ბაზრებში თავიანთი მეურნეობის პროდუქტების გაყიდვის შემავიწროებელ გარემოებათა ასაცილებელი ღონისძიების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 113) და 1930 წ. ივლისის 27-ის თარიღისა და 256 №-ის დადგენილება „სასურსათო პროდუქტების წვრილი ცალობითი ვაჭრობის გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და ა/კსფსრ ტერიტორიაზე გლეხების მიერ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 12 №-ი, მუხ. 144) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, განსაზღვრავდა და განსაზღვრავდა თავისი 1930 წ. მაისის 15-ის დადგენილებისა „გლეხების მიერ ბაზრებში თავიანთი მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შემავიწროებელ გარემოებათა ასაცილებელი ღონისძიების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 142), ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს:

ა) უზრუნველჰყონ, რათა გლეხებმა თავისუფლად გაჰყიდონ, როგორც საგლეხო მეურნეობათა მდებარეობის ადგილას, ისე ქალაქისა და სოფლის ბაზრებზე თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია;

ბ) განუმარტონ სასოფლო ყრილობებზე გლეხებს, რომ ნებათავე მათი მეურნეობის პროდუქციის თავისუფალი რეალიზაციისა კერძო ბაზარზე ვრცელდება ამ პროდუქციის მხოლოდ იმ ნაწილზე, რაც კონტრაქტაციისაგან თავისუფალია და რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ნაკისრები ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გლეხები სრულად პასუხს აგებენ ხელშეკრულებისა და კანონის თანახმად;

გ) მოსპონ ყველგვარი შვიწროება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოძრაობისა, რესპუბლიკის ფარგლებში, რკინის გზისა, წყლისა და ქაპანზიდვის ტრანსპორტით და ფოსტით, გარდა იმ საქონელისა და ტვირთისა, რომლის გადაზიდვა და გადაგზავნა შეზღუდული ან აკრძალულია ეკონომიური რეგულირებისათვის დადგენილი წესისამებრ;

დ) არავის მისცენ ნება, რომ იმ გლეხებს, რომელნიც თავიანთი მეურნეობის პროდუქტებს ქალაქის ბაზარსა, მოედანსა და ქუჩაში ჰყიდიან, გადაახდევინონ ადგილობრივი ერთგზობითი გამოსაღები ფეხზე ვაჭრობისათვის და საიჯარო სასყიდელი მათ მიერ აღნიშნული ვაჭრობის საწარმოებლად დაქერილი ადგილებისათვის;

ე) ზედმიწევნით დაიცვან კანონით დადგენილი წესი წვრილი ცალობითი ვაჭრობის სახელმწიფო სარეწაო გადასახადით დაბეგვრისა მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

2. აკრძალოს ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოს ზღვრული გასაყიდი ფასების ან ნიხრის დაწესება სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებისათვის, რომლის რეალიზაციაც კერძო ბაზარზე ხდება.

შენიშვნა. ეს მუხლი არ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ფასებს აწესრიგებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი კანონით დადგენილი წესისამებრ.

3. განმარტებულ იქნეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წ. მაისის 15-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხორცისა და ბრინჯის გარდა, გადაზიდება, რამდენიც უნდა იყოს, რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტით ტვირთად, ბარგად და საქონელ-ბარგად და გაიგზავნება ფოსტით რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის და ფოსტით გადაგზავნის საერთო წესების თანახმად; ხოლო ხორცისა და ბრინჯის გადაზიდვა რკინის გზით და წყალსავალი გზით შეიძლება მხოლოდ ხელბარგად—ხორცისა რკინის გზით და წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის წესებით დადგენილი საერთო ნორმის ფარგლებში (35 კილოგრ.), ბრინჯისა კი—არა უმეტეს 10 კილოგრამისა თვითულ მგზავრზე.

შენიშვნა. პურის ტვირთის გადაზიდვა პურის დამზადების კამპანიის პერიოდში მოწესრიგდება განსაკუთრებული დადგენილებით.

4. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს სამი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან: ა) შეიმუშაოს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, და გამოაქვეყნოს ნუსხა იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, რაც სსრკ-ის და ა/კსფსრ-ის ფარგლებში გადაზიდულ უნდა იქნეს განსაკუთრებული წესით ან რის თავისუფალი გადაზიდვაც აკრძალულია ტვირთის ეკონომიურად მოწესრიგებისათვის დადგენილი წესებისა და განსაკუთრებული კანონების და განკარგულებების თანახმად და ბ) მიაწოდოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს ინსტრუქცია ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შეფარდების შესახებ.

დაევალოს თინანსთა სახალხო კომისარიატს მისცეს სარაიონო და საქალაქო საფინანსო ორგანოებს მტკიცე დირექტივები ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტების შეფარდების წესის შესახებ.

5. დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს სათანადო ორგანოების მიერ ა/კსფსრ სახალხო კომისარიატს საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებებისა და ამა დადგენილების აღსრულება.

დაევალოს რესპუბლიკის პროკურორს განუწყვეტილ თვალყურს ადევნოს, თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, ზემოაღნიშნული აქტების სათანადოდ შეფარდებას და ყველა თანამდებობის პირი, ვინც ამ აქტებს დაარღვევს, მისცეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114—117 მუხლების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს საბჭოს

თავმჯდომარის მრადგილე **გ. მალოზლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს საბჭოს

საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. სექტემბრის 23.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 223 №-ში 1930 წ. სექტემბრის 24-ს.

293. დადგენილება ს. კ. ს.

სასაქონლო ბაზრის მოწესრიგების შესახებ.

რადგანაც, ერთი მხრით, ადგილობრივი ორგანოები, მთავრობის უმაღლეს ორგანოთა დადგენილებების წინააღმდეგ, ხმარობენ ისეთ ღონისძიებებს, რაც ავიწროებს ღარიბი და საშუალო გლეხების მიერ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თავისუფალ რეალიზაციას, ხოლო, მეორეს მხრით, მუშათა ბრიგადებიც, რომელნიც ქალაქად სასაქონლო ბაზარს, კერძოდ, სასურსათო ბაზარს იკვლევენ, თავიანთი თვითნებობით მთლად ამახინჯებენ მთავრო-

ბის პოლიტიკას ამ სფეროში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ამგვარი არანორმალური მოვლენების აღსაკვეთად და თავისი ა/წ სექტემბრის 23-ის დადგენილებას (გაზ. „კომუნისტი-ს“ 223 №-ი, 1930 წ. სექტემბრის 24-ისა) დასამატებლად, ადგენს:

1. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს დაუყოვნებლივ გააუქმონ ყველა განკარგულება, რაც ავიწროებს ღარიბი და საშუალო გლეხების მიერ თავიანთი პროდუქტების რეალიზაციას.

2. მუშათა ყველა ბრიგადამ სასაქონლო ბაზრის, კერძოდ, სასურსათო ბაზრის გამოკვლევის დროს აუცილებლად უნდა იქონიოს თავის მანდატზე საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ვიზა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. სექტემბრის 25.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ 227 №-ში 1930 წ. სექტემბრის 28-ს.